

შ ე ს ა ვ ა ლ ი

I. ქველის მეცნიერული მნიშვნელობა

ქველი, რომელიც პირველად იბეჭდება, მოგვითხრობს ერთერთი სირიელის, ტიმოთე ანტიოქელის, თავგადასავალს. ეს ნაწარმოები ღირსია იმ პირთა საგანგებო ყურადღებისა, რომელთაც აინტერესებს აღმოსავლეთის ისტორიული წარსული ისეთს ბნელ ხანაში არაბების ბატონობისა, როგორცაა მერვე საუკუნე.

ამ ქველის გამოცემით ჩვენს თვალწინ იშლება მოღვაწეობა აქამდის ისტორიაში უცნობი ადამიანისა, რომელიც, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სირიის როგორც საეკლესიო-სარწმუნოებრივს, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თხზულებაში წარმოდგენილია მკვეთრი სურათი სირიელების სარწმუნოებრივ-კულტურული ყოფისა, განსაკუთრებით მათი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებისა; ეს მხარე სირიელთა ისტორიისა მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ პერიოდის შესახებ, რომელიც იწყება მეშვიდე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, ესე იგი—არაბთა ბატონობის დაწყებიდან. ფართოდაა მოხაზული თხზულებაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება სირიელებისა, რომელნიც ამ დროს განიცდიან მუსულმან-არაბთა ხელისუფლების მძვინვარე ექსპლოატაციას. მოკლედ, თხზულება თითქოს სპეციალური მიმოხილვაა ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდის დროის სირიელთა ისტორიისა და, როგორც ასეთი, საჭირო ისტორიული დოკუმენტების სიმცირის პირობებში, მეცნიერების მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღმოსავლეთის, სირიელების, ისტორიისათვის, არამედ ჩვენთვისაც, ქართველებისთვისაც. საქმე ისაა, რომ, შეეჭვსე საუკუნიდან დაწყებული მეთემდე, ჩვენი კულტურის ისტორიაში სირიელები უდიდეს როლს თამაშობდნენ. სირიის გზით შემოვიდა ქართლში ის ნაკადი ქრისტიანიზმისა, რომელმაც გარკვეული გეზი მისცა ფეოდალური საქართველოს ისტორიას საუკუნეთა განმავლობაში. სირიიდან შემოვიდა ჩვენში ის ტიპი სამონასტრო ცხოვრებისა, რომელიც ასეთს კვალს აჩენდა ჩვენს ცხოვრებას. სირიულიდან ითარგმნებოდა, უშუალოდ თუ სომხურის მეშვეობით, ის ქველები, რომელთაც დაუდევს საფუძველი ჩვენს ძველს მწერლობას. აქედან დასკვნა თავისთავად ცხადია: ჩვენი ისტორიის ამ ეპოქის შესასწავლად ძალიან ცოტა

მასალები მოგვეპოვება, ეს ძეგლი კი, როგორც ვთქვით, გვიშუქებს იმ ქვეყნის წარსულს, რომელიც გარკვეულ ელფერს აძლევდა ჩვენს ცხოვრებას, ასე რომ, ის წარმოადგენს წყაროს არა მარტო სირიის, არამედ ქართლის ისტორიული წარსულის შესასწავლად, განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ პოლიტიკური წარსულის შესახებ. ცნობილია, რომ არაბებმა სირია და ქართლი თითქმის ერთსადაიმავე დროს დაიპყრეს მეშვიდე საუკუნეში; ისიც ცნობილია, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არც არაბთა ბატონობის გასაშუქებლად გვაქვს საჭირო მასალები. აქ კი, ამ ძეგლში, მოცემულია საკმაოდ გაშლილი სურათი არაბების, როგორც დამპყრობელ-გაბატონებული ძალის, მოქმედებისა სირიაში, მათი დამოკიდებულებისა დაპყრობილ ერისადმი, მისი სარწმუნოებრივი და ყოფაცხოვრებითი მოვლენებისადმი. აქაც, ამ მხრივაც, მაშასადამე, ეს თხზულება დიდ მეცნიერულ დახმარებას გაუწევს ქართველ ისტორიკოსს, ვინაიდან არაბთა პოლიტიკა აღმოსავლეთის დაპყრობილ ქვეყნებში არსებითად ერთიდაიგივე იყო.

ამ გამოცემით მეცნიერებამ მოიპოვა ახალი, ჯერ უცნობი ლიტერატურული ძეგლი, რომელიც საინტერესოა თავისი წარმოშობითაც. ეს თხზულება, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ბერძნულიდან კი ქართულად. არც არაბული, არც ბერძნული ტექსტი მისი ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, მაშასადამე, დაგვრჩენია ქართული თარგმანი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ძეგლის აღდგენა და ყოველმხრივ გათვალისწინება. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ქართული თარგმანის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ არაბულ-ქრისტიანული მწერლობის ძეგლი; არაბულ-ქრისტიანული ლიტერატურა კი ჯერ შეუსწავლელია, ის ამ უკანასკნელ ხანებში იპყრობს ორიენტალისტების სერიოზულ ყურადღებას. ამრიგად, ძველი ქართული ლიტერატურა, რომელსაც ამ ძეგლის სახით საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, ერთხელ კიდევ მისცემს საბაბს ევროპის მეცნიერებს გაიმეორონ სიტყვები უდიდესი გერმანელი ისტორიკოსის ა. შარნაკისა: ირკვევა, «რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუნჯე?»¹.

მართალია, თხზულებაში ადგილი აქვს, და საკმაოდ მნიშვნელოვანი, „სასწაულებსაც“, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ დაამცირებს მის მეცნიერულ ღირებულებას; „სასწაულები“ ხელს არ უშლიდა ცნობილ მეცნიერს, პროფ. K. Krumbacher-ს აღფარებინა ამგვარი თხზულებების კულტურულ-ისტორიული ინტერესი², ისინი ვერ ანელებდნენ ვერც ფრიდ. ენგელსის ინტერესს, რომელიც, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, პირდაპირ მუშტ-

¹ Sitzungsberichte der preussischen Akademie der Wissenschaften, XXXIX, 1903

² Geschichte der byzantinischen Litteratur, Aufl. 2, S. 145.

რის თვალთ კითხულობდა და სწავლობდა თურმე ამგვარ თხზულებებს სხვადასხვა ენებზე. ამ „სასწაულებრივს“ გარსში გახვეულია ძვირფასი მარგალიტები ისტორიული, ყოფა-ცხოვრებითი სიმართლისა და რეალური განცდებისა, რომელთა ამოკრება დახელოვნებული ისტორიკოსისათვის არც ისე ძნელი საქმეა.

დასასრულ, თხზულება ერთერთი საუკეთესო ძეგლია ქართული ენის შესასწავლად; მისი კითხვის დროს თვალში გეცემათ მსუბუქი, თავისუფალი, პერიოდულად დამრგვალებული და დამთავრებული მხატვრული ენა, რომელიც: ადგილ-ადგილ უმაღლეს ხელოვნებამდე აღის. მთარგმნელი ისე მოხერხებულად, ადვილად და თავისუფლად გადმოგვცემს დედნის აზრებს, რომ გეგონებათ—წინ გვიძევს არა ნათარგმნი, არამედ ორიგინალური ნაწარმოები ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანისა. მიმზიდველი ფაბულა, სიუჟეტის დრამატული დამუშავება, მხატვრული სახეები, მეტაფორები, პარალელიზმები, მშვენიერი სურათები ბუნებისა და სხვა ამისთანები მიზნია იმისა, რომ თხზულება თავიდან ბოლომდე, „სასწაულებრივ“ ნაწილშიაც კი, შეუწელებელი ინტერესით იკითხება.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოცემა დამზადებული იყო განსვენებულის აკადემიკოსის ნ. მარის შეკვეთით ერთერთი, მის მიერ შეცნირებათა აკადემიაში შექმნილი, სერიისათვის, რომელსაც Bibliotheca Armeno-Georgica ეწოდებოდა; აკადემიამ დაიწყო კიდევაც მისი ბეჭდვა 1916 წელს, მაგრამ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს შემდეგდროინდელმა გამოთიშვამ რუსეთისაგან, რამაც რამდენიმე წლით ჩამოგვაშორა ყოფილი რუსეთის სამეცნიერო ცენტრებს, საშუალება არ მოგვცა მისი დამთავრებისა. მით უფრო სასიამოვნოა, რომ დღეს მის გამოცემას კისრულობს განახლებული საქავეშირო აკადემიის საქართველოს ფილიალი.

II. თხზულების მოკლე შინაარსი

ტიმოთეს სამშობლო იყო ანტიოქიის მახლობლად მდებარე სოფელი კახუსტანი; მის მშობლებს, რომელნიც „ქუეყნის-მოქმედნი“ ანუ გლეხები იყვნენ, ჰყავდათ კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი. ტიმოთე ყველაზე უმცროსი იყო ოჯახში. ის ძალიან ადრე დაობლდა, ხშირად იზრდებოდა ძიძასთან დის უშუალო მეთვალყურეობით. როდესაც შვიდი წლის შეიქნა, ძმებმა ის ცხვარში გაგზავნეს მწყემსად; რადგანაც მცირეწლოვანობის გამო ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, უფროსმა ძმამ ერთხელ სასტიკად სცემა მას. ამის შედეგი იყო, რომ ტიმოთე ანაზღეულად გაქრა და დაიკარგა სოფლიდან. ძმები და და მისი შეშინდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ უშედეგოდ. ისინი უნუგეშო მწუხარებამ შეიპყრო, განსაკუთრებით თავს იკლავდა და: ის ეძებდა მას „მთათა და ბორცუთა და კევენებსა შინა“, დახმარებისათვის უსულო ბუნებასაც კი მიმართავდა, ყოველ დღე ის გამოდიოდა გზაჯვარედინზე და ეკითხებოდა გამვლელ-გამომვლელთ ძმის ამბავს. მისი რჩევით ძმებმა დააწესეს დღესასწაუ-

ლები, რომელზედაც იწვევდნენ ნაცნობსა და უცნობს და ყველას ეკითხებოდნენ: ხომ არაფერი გსმენიათ ჩვენი დაკარგული ძმის შესახებო?¹ მათი ცდა უშედეგო იყო: ვერაფერი ვერავისგან ვერ გაიგეს. ტიმოთე თავისი სოფლიდან წასულა ერთს შორეულ დაბაში, სადაც ერთს ოჯახში ის მიიღეს როგორც საკუთარი შვილი. ის მიაბარეს ამ დაბის სკოლაში ერთს დახელოვნებულ მასწავლებელს აღსაზრდელად. ტიმოთე სკოლაში ყველას სჯობნიდა ბეჯითობით და ღვთისნიერობით. მეცადინეობას რომ მორჩებოდნენ, ისა და მისი ორი სკოლის ამხანაგი მიდიოდნენ ერთს განმარტოვებულ გამოქვაბულში, სადაც ლოცვა-ვედრებაში ატარებდნენ დროს. როდესაც ტიმოთე წამოიზარდა, მისმა გამზრდელმა, რომელიც საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, ცოლად შეაძლია მას თავისი ერთადერთი ქალი. ტიმოთე შორს იყო აზრისაგან ოჯახურ ცხოვრებას მოჰკიდებოდა, მაგრამ თავისი აღმზრდელისა და კეთილისმყოფლის წყენაც ეძნელებოდა, ამიტომ ასე მოიქცა: მას სთხოვა ნებართვა წინასწარ იერუსალიმში წასვლისა, თითქოსდა სალოცავად, ნამდვილად კი გადაწყვიტა—არ დაბრუნებულყო იქიდან. გამზრდელს უძნელდებოდა მისი გაშვება, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დასთანხმდა და წასვლისას გაატანა თანამგზავრები, რომლებთანაც ერთად უნდა მობრუნებულყო უკან. ტიმოთე თანამგზავრებით იერუსალიმს დიდ მარხვაში მივიდა, აქ მათ მოილოცეს წმ. საფლავი, თხემის ადგილი, სიონი და მახლობელი წმიდა ადგილები, მერე გავიდნენ უდაბნოში, მოიხილეს ბეთლემი, მდინარე იორდანე და სხვა ადგილები და შემდეგ, ბზობას, დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც დაყვეს მთელი ვნების კვირა და აღდგომის ღამეს გახდნენ მოწამენი წმ. ცეცხლის მიღებისა². აღდგომის დღესასწაულის შემდეგ პილიგრიმები ჩვეულებრივ შინ, თავიანთ ქვეყანაში, ბრუნდებოდნენ ხოლმე, გაყვნენ სხვებს ტიმოთეცა და მისი თანამგზავრები. როდესაც იერუსალიმს გასცილდნენ, ტიმოთემ ისარგებლა პილიგრიმების სიმრავლით, შეერია მათ და ჩამოშორდა თავისიანებს. უკანასკნელებმა ეს მაშინვე ვერ შენიშნეს. როდესაც გაიგეს, გვიან იყო: ტიმოთე გავიდა უდაბნოში, სადაც მეუდაბნოეთა ცხოვრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ის მივიდა ერთს მოხუცებულ ბერთან და სთხოვა მას—სქემა შემოსეო; ბერმა თხოვნა შეუსრულა არა იმწამსვე, არამედ ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ. ტიმოთემ დაყო ამ უდაბნოში 27 წელი და მერე გადასწყვიტა დაბრუნებულყო თავის სამშობლოში. გზაზე ის წააწყდა ერთ მონას-

¹ როდესაც ამ დღესასწაულების აღწერილობას კითხულობთ, თვალწინ უნებლიეთ წარმოგიდგებათ საქართველო, სადაც არც ისე შორეულ წარსულში (ალაგ-ალაგ დღესაც) თვითელი სოფელი ანდა გვარი სოფელში იხდის ამათუიმ დღეობას, რომელსაც ესწრებიან, მოპატივებით თუ ისე, ამავე სოფლის სხვა მცხოვრებნი, აგრეთვე მახლობელნი, ნათესავნი და ნაცნობნი სხვა სოფლებიდან. ამ დღეობებზე იკვლება, როგორც ამ თხზულებით, ისე ჩვენშიაც, უამრავი საქონელი სტუმრების გასამასპინძლებლად. ასეთი ჩვეულება ეხლაც ცხოველია ურმიის სირიელთა შორის და, რაც საყურადღებოა, ის ძალიან მოგვაგონებს ჩვენი ქვეყნის ამგვარ ჩვეულებას („Странник“ 1913 г. Октябрь. стр. 457—8).

² აქ უხვადაა მოცემული დეტალები იერუსალიმის არქეოლოგია-ტოპოგრაფიისა; კერძოდ წმ. ცეცხლის მიღების შესახებ იხ. проф. А. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц в Иерусалиме IX—X в., Казань, 1894 г. стр. 406.

ტერს, რომელშიაც ცხოვრობდნენ მარონიტები; ის დროებით შეჩერდა ამ მონასტერში ვითომდა იმიტომ, რომ შეესწავლა ხურობა, რომელიც შეადგენდა ამ მონასტრის მკვიდრთა მთავარ საქმიანობას, ნამდვილად კი მწვალებლობისგან მათი მოქცევის მიზნით. ის ასეც მოიქცა: მოკლე ხანში მან ხურობაც შეისწავლა და მარონიტებიც მოაქცია.

ამის შემდეგ ის განაგრძობს გზას და მიაღწევს იმ დაბას, სადაც ის აღიზარდა და სადაც მას ცოლის შერთვას უპირობდნენ; აქ ის შედის ერთს მონასტერში და იწყებს მოღვაწეობას. რამდენიმე ხნის შემდეგ, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ის გაჰყვა ანტიოქიაში ერთს ბერს, თანახმად უკანასკნელის თხოვნისა, და თავი ამოყო სამშობლო სოფელში. სწორედ ამ დროს მისი ძმები იხდიდნენ წმ. გიორგის დღეობას; როდესაც მათ დაინახეს უცხო მგზავრები, სთხოვეს მათ დარჩენილიყვნენ მათთან და მიელოთ მონაწილეობა დღეობაში. ტიმოთემ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, მას არ უნდოდა გამომეღვენებულიყო მისი ვინაობა, ამიტომ მოინდომა წასვლა, მაგრამ ვერასგზით ვერ დააღწია თავი და იძულებული შეიქნა დარჩენილიყო. მისმა დაქ დაინახა რა უცხო მგზავრები, ჩვეულებისამებრ ტირილითა და ვაებით გაუმეღვენა მათ თავისი მწუხარება და სთხოვა—ეცნობებინათ მისთვის, თუ რამე იცოდნენ მისი ძმის შესახებ. ეს ადგილი მოთხრობისა თავისი დრამატიზმით დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. ტიმოთემ მიმართა ქრისტიანთა შორის მიღებულ ჩვეულებას, საღვთო წერილით მკითხაობას¹, გაშალა სახარება და უთხრა მტირალ დას: დამშვიდდი, შენი ძმა ცოცხალია, ხვალ ყველაფერს გაიგებ მის შესახებ! მას გადაწყვეტილი ჰქონდა ღამით გაპარულიყო. ტიმოთე დიდხანს ებრძოდა თავის თავს, მაგრამ ვეღარ სძლია, და აქ განმეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა, ბიბლიით, ეგვიპტეში როდესაც იოსებმა თავის ძმებს გამოუცხადა თავი: მეორე დღეს ტიმოთე გამოუტყდა თავისიანებს. ძნელია გადმოცემა იმისი, რასაც ადგილი ჰქონდა ამ მომენტში! თანახმად ძმების, დის და სოფლელების თხოვნისა ტიმოთე დარჩა სოფელში, ის დაბინავდა სენაკში, რომელიც ძმებმა აუშენეს მას. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელში თავი იჩინა შფოთმა და უსიამოვნებამ; საქმე იქამდის მივიდა, რომ ტიმოთემ გადასწყვიტა მიეტოვებინა იქაურობა და სხვა მხარეს წასულიყო. სოფლელებმა რომ ეს გაიგეს, სთხოვეს მას დარჩენილიყო და აღუთქვეს გამოსწორება. ტიმოთე დასთანხმდა, მაგრამ მოსთხოვა მათ აეშენებინათ მისთვის სოფლიდან მოშორებით სავანე. მართლაც ერთს ხევში, სადაც წმ. გიორგის ტაძარი იყო, მას აუშენეს მაღალი სვეტი (გოდოლი) და დიდი ზემით აიყვანეს ზედ. ამიერიდან იწყება მისი ცხოვრება სვეტზე ან მესვეტეობა, რო-

¹ საღვთო წიგნებით მკითხაობის შესახებ იხ. проф. М. Сперанский, Из истории отреченных книг, гадания по Псалтыри, 1889 г. стр. 14—27. В. М. Истрин, К вопросу о гадательных псалтырях. ესეთი ჩვეულება ცნობილია ჩვენშიც, საქართველოშიაც; იმერეთში, მაგალითად, როდესაც უნდოდათ ქურდის გამომეღვენება, აიღებდნენ ზოლმე დავითნს და მასე ფსალმუნზე ჩადებდნენ შიგ გასაღებს, შეკრავდნენ თოკით და ჩამოიკიდებდნენ თითზე; ამ დროს ჩაიფიქრებდნენ ამათუიმ პირს, ვიხედაც ეკვი ჰქონდათ, და წაიკითხავდნენ მასე ფსალმუნს. თუ ამ დროს თითზე დაკიდებული წიგნი დატრიალდებოდა, ქურდი აღმოჩენილად ითვლებოდა.

მელიც გრძელდება თვით მის სიკვდილამდე. მალე მისი სვეტის გარშემო გაჩაღდა ნამდვილი სამონასტრო ცხოვრება; აქ მოვიდა, სხვათა შორის, ორი მისი სკოლის ამხანაგი, რომელნიც მან დააყენა მონასტრის უფროსად და რომლებთანაც მას სიცოცხლეში არ შეუწყვეტია სულიერი კავშირი¹. მალე მისი ამბავი მთელს ქვეყანას მოედო, მასთან მოდიოდნენ დარიგებისა და რჩევისათვის არა მარტო ანტიოქიიდან და კახუსტანიდან (15 სასწ.), არამედ სხვა ადგილებიდანაც, როგორც მაგალითად: შაეი (23 სასწ.) და კარკულის (13 სასწ.) მთები, დაბა დაფნა (12 სასწ.), ბაზატუნ სოფელი (5 სასწ.), ქალაქები: ქალკიდონი (22 სასწ.), ემესა (19 სასწ.) და ილიოპოლი (24 სასწ.), სპარსეთიდანაც კი (21 სასწ.). მას მიმართავდნენ როგორც საერონი, ისე სამღვდელონი, ბერ-მონაზვნები, ეპისკოპოსები (2 სასწ.), ანტიოქიის პატრიარქი (5, 11, 14 სასწ.) და მაჰმადიანი სარკინოზნი (1, 9, 11, 21, 22 სასწ.). ტიმოთე აკმაყოფილებდა მათ სულიერ მოთხოვნილებას, არავის არ სტოვებდა უნუგემოდ და არავის არ უშლიდა მასთან მისვლას. გარდაიცვალა ტიმოთე ღრმად მოხუცებული, სვეტზე დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ, და დასაფლავებულ იქნა ყველასაგან გულწრფელად დატირებული.

III. ტიმოთე ანტიოქელის ეპოქა

თუმცა თხზულებაში ქრონოლოგიური თარიღები არა გვაქვს, მაგრამ შესაძლებელია გავარკვიოთ ყოველ შემთხვევაში ის პერიოდი ტიმოთეს ცხოვრებისა, როდესაც ის სვეტზე ან გოდოლზე იმყოფებოდა. ტიმოთეს „სასწაულთა“ შესაბამე მოთხრობის მე-11 თავში ვკითხულობთ: როდესაც ტიმოთეს სახელი გაითქვა ყოველგან, მისი ნახვა მოინდომა, სხვათა შორის, ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორიტემ. ის მოვიდა მასთან „ეტლებითა და ჰუნებითა და სამოსელთა ბრწყინვალეებითა და ფრიადითა აკაზმულობითა და წარჩინებულობითა“. ტიმოთეს ეს არ ესიამოვნა, ვინაიდან ყოველივე ეს „უცხო იყო სამოციქულოდსა წესისაგან“. მან ის მოურიდებლივ ამხილა, გამოთხოვებისას მოსთხოვა— შეეცვალა თავისი ცხოვრება; პატრიარქი დაპირდა, მაგრამ, წავიდა თუ არა, უმალვე დაივიწყა თავისი სიტყვა და წინანდებურად შეუფერებელ ცხოვრებას ატარებდა. ტიმოთემ მას ამცნო, რომ ძალიან მალე, სახელდობრ—დიდ ხუთშაბათს, ის, ტყუილისა და უხამსო ცხოვრებისათვის, ჩამოგდებული იქნება საპატრიარქო ტახტიდან და უამრავი უბედურების მსხვერპლი გახდება. პატრიარქმა არავითარი ყურადღება მის სიტყვებს არ მიაქცია, დიდხუთშაბათს, პირიქით, დასცინოდა კიდევაც მას. მაგრამ როდესაც ის, წირვის დაწყებამდე, ეკლესიაში აპირებდა შესვლას და მირონის კურთხევას, თავს დაესხნენ მას ბა-

¹ დაახლოებული იყო მასთან აგრეთვე ორი მოღვაწე, ერთი პაპისკინის და მეორე ალექსანდრიის მონასტრისა. ჩვენ არ ვიცით, სად იყო პაპისკინის მონასტერი, რაც შეეხება ალექსანდრიისას, აქ იგულისხმება ალექსანდრია, რომელიც ანტიოქიის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ ყურესთან.

ბილონიდან მოგზავნილი ჯარისკაცები ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდისა, რომლის წინაშე პატრიარქი შესმენილი იყო „ვითარცა თავხედი და ორგული“. ის „შეკრეს ჯაჭვითა მძიმითა და ბორკილითა“ და წაიყვანეს ბაბილონს. პატრიარქს ეხლა მოაგონდა ტიმოთე; გზაზე მან მოისყიდა ჯარისკაცები და ტიმოთესთან შეუხვია. ტიმოთემ უთხრა, რომ მას მიუსჯიან სიკვდილს, მაგრამ ღმერთი, რომელიც მის მიერ მრავალ სასწაულს მოახდენს, იხსნის მას სიკვდილისაგან, რომ ის დიდ წარმატებას მიაღწევს, და სთხოვა—მთელი თავისი გავლენა მოეხმარა ქრისტიანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას თან გაატანა წმ. ზეთი და უთხრა, რომ ამ ზეთით ის მრავალ ავადმყოფს განკურნებს. როდესაც ჯარისკაცებმა თეოდორიტე ხალიფასთან მიიყვანეს, უკანასკნელმა მას თავის მოკვეთა მიუსაჯა. სამმა მეხრმლემ შესცვალა ერთი მეორე, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა მახვილის ცემა; ვიღაც ნათლით მოსილი მოხუცი, რომელიც თეოდორიტეს გვერდით იდგა და რომელსაც მხოლოდ მეხრმლენი ხედავდნენ, არ უშვებდა მათ პატრიარქამდე, ერთს მათგანს ხელიც კი შეახმა. ხალიფამ გადასწყვიტა, რომ ეს საქმე „თვნიერ გრძნებისა არა არს“, ამიტომ უბრძანა—თეოდორიტე საპყრობილეში ჩაესვათ. ეს გაიგო ხალიფას ცოლმა; მან განსკვრიტა, რომ ყველაფერი ეს ღვთის განგებით მოხდა, ამიტომ სთხოვა ქმარს—დაეთმო მისთვის პატრიარქი. ხალიფამ შეიწყნარა მეუღლის თხოვნა და არამც თუ გაათავისუფლა თეოდორიტე, მას „შეკარეთა“ საპატიო თანამდებობაც კი მიანიჭა. რამდენიმე ხნის შემდეგ ავად გახდა „მხოლოდშობილი“ ძე ხალიფასი; მამამ „შემოკრიბნა ქალდეველთა და სპარსთა შორის წარჩინებულნი და გამოცდილნი მკურნალნი და მკურნალთ-მთავარნი“, მაგრამ ისინი ვერას გახდნენ. მაშინ დედოფალმა მოაგონა ქმარს თეოდორიტე, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს, და სთხოვა მას მიემართნა მისთვის. პატრიარქი მოვიდა და განუცხადა ხალიფას, რომ ის განკურნებს მის ძეს ღვთის ძალით და ტიმოთეს ლოცვა-ვედრებით. მან სცხო ავადმყოფს ტიმოთეს მიერ გამოტანებული ზეთი და ის იმწამსვე განიკურნა. ამასთან ერთად იმავე ზეთით მან განკურნა გამხმარი ხელი იმ ჯარისკაცისა, რომელსაც მისთვის თავი უნდა მოეკვეთა. ყველაფერმა ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ხალიფაზე, ისე სხვებზე, და მრავალი გარდახარა ქრისტიანობის მხარეზე. გახარებულმა ხალიფამ დიდად პატივისცა თეოდორიტეს, ის მზად იყო დაეთმო მისთვის თავისი სამეფოს ნახევარიც კი. პატრიარქმა, თანახმად ტიმოთეს დარჩებისა, უარყო ყოველგვარი საჩუქარი და პატივი, სამაგიეროდ მან გამოსთხოვა ხალიფას ქრისტიანებისათვის სამი მეტად მნიშვნელოვანი შეღავათი. შემდეგ ამისა ის გამოეთხოვა ხალიფას, რომელმაც დაავალა მას—ყოველწლივ ეცნობებინა მისთვის როგორც თავისი საკუთარი, ისე მისი სამწყსოს საკიროებანი, და გაემგზავრა თავის საპატრიარქოში. გზაზე მან შეუხვია და ინახულა ტიმოთე, მერე შევიდა საპატრიარქო ქალაქში, სადაც დიდი ზეიმითა და პატივით იქნა მიღებული.

ცხადია, თანახმად ჰაგიოგრაფიაში მიღებული შაბლონისა, ავტორმა „სასწაულების“ სამოსელში გახვია რალაც ნამდვილი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონია ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდისა და ანტიოქიის პატრიარქის თეო-

დოკრიტეს დროს; ამ ორ პირთა სახელის დახმარებით შესაძლებელია გარკვეულ იქნეს ტიმოთეს ეპოქა.

პარონ-ალ-რაშიდი ხალიფად იყო 170 ჰიჯრიდან 193-მდე (786 წლის 3 ივლისი—809 წლის 24 მარტი)¹, რაც შეეხება თეოდორიტეს, მის შესახებ ალექსანდრიის პატრიარქის ევტიქის (გარდაიცვ. 940 წ.) ანალებში (p. 410—411) ნათქვამია: „ხალიფა ალ-რაშიდის მერვე წელს ანტიოქიის პატრიარქად დანიშნულ იქნა თეოდორიტე; მან დაყო პატრიარქად 17 წელი და გარდაიცვალა“². ამრიგად, თანახმად ევტიქისა, თეოდორიტე პატრიარქად ყოფილა 795—812 წლებში; მაშასადამე, ის, რაც ამ ძეგლში მოთხრობილია, უნდა მომხდარიყო 795—809 წლებში³. მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც შემოუკრებია Le-Quien-ს⁴, თეოდორიტე პატრიარქად გამხდარა 795 წელზე გაცილებით ადრე. ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ 787 წელს, როდესაც მოწვეულ იქნა მეშვიდე მსოფლიო კრება, მას უკვე ეკავა ანტიოქიის კათედრა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტარასის „ცხოვრების“ ავტორი ეგნატე ამბობს: მეშვიდე კრებაზე მოვიდნენ „უწმიდესი ტარასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქი, და მასთან ერთად პატრიარქთა მოადგილენი, სახელდობრ: რომის პაპის ადრიანესი—მღვდელი პეტრე და მონაზონი პეტრე; ალექსანდრიის პატრიარქის პოლიციანესი—მღვდელ-მონაზონი თომა; თეოდორიტე ანტიოქელისა და ილია იერუსალიმელის—მღვდელთ-მონაზონი იოანე“⁵. ამასვე ვკითხულობთ ბერძნულ მენოლოგიონში 11 ოქტომბერს, როდესაც დადებულია ხსენება მეშვიდე მსოფლიო კრების მამებისა. თეოდორე სტოდელს 194 წერილში (II წიგნი), რომელიც მიმართულია იოანე გრამატიკოსისადმი, ჯერ მოჰყავს აქტები „თეოდორიტე პატრიარქის დროის ანტიოქიის კრებისა“ ხატთაყვანისცემის შესახებ, შემდეგ კი მეორე ნიკიის კრების ფორმულა⁶. როგორც ჩანს, ანტიოქიის კრებას ადგილი ჰქონდა მეშვიდე მსოფლიო კრებამდე, აქედან—თეოდორიტე პატრიარქად ყოფილა 787 წლამდე. ამრიგად, ევტიქის ცნობა, რომ თეოდორიტემ ანტიოქიის საპატრიარქო ხალიფა პარონ-ალ-რაშიდის მერვე წელს დაიკავაო, სწორი არაა. უნდა აღინიშნოს, რომ ევტიქი სხვა შემთხვევაშიც სცოდავს ისტორიული სინამდვილის წინაშე; ამას ხაზს უსვამს მისი გამგრძელბელი იაქია ანტიოქელიც, რომელიც ამბობს: „მე განზრახვა მქონდა შემესწორებინა ევტიქის შრომა და შემეტანა შიგ ისეთი

¹ Müller, Der Islam I, 497. St. Lane-Poolo, The mohammadan dynasties, 12.

² Le-Quien, Oriens christianus II, col. 746.

³ თ. ეორდანია, საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში (Описание II, стр. 159) ამბობს: „ტიმოთე ცხოვრობდა ანტიოქეს (sic) მახლობლად პატრიარქი თეოდორიტესა და არაბების ბატონობის დროს“. ამ ცნობის მიხედვით P. Peeters-ი, რომელიც თვით ტიმოთეს „ცხოვრებას“ არ იცნობს, ფიქრობს, რომ ტიმოთე მეცხრე საუკუნის დამდეგს ცხოვრობდაო (S. Hilarion d'Iberie, Analecta Bollandiana t. XXXII, p. 240, not. 1); უპველია, მას მხედველობაში აქვს ევტიქის ქრონოლოგია.

⁴ Oriens christianus II, 746—747.

⁵ Димитрий Ростовский, Четьи-Миней, февраль, стр. 444—445, 1905 г. Москва.

⁶ Migne, Patr. Gr. t. 99, col. 1592 ABC.

ცნობები, რომელთა შესახებ ის სდუმს ანდა ბუნდოვანად ლაპარაკობს, მინდოდა შემეცვალა იმაში ის, რაც მან არივ-დარია, სწორად ვერ გაიგო და გადმოგვცა არათანახმად ქეშმარიტებისა¹. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ანტიოქიის საპატრიარქოს შესახებ: მისი ცნობები ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა შესახებ უფრო სრული და სწორია, ვიდრე ანტიოქიის პატრიარქატის შესახებ; ჩანს, საგანგებო რამ წყაროები მას უკანასკნელის შესახებ არ ჰქონია². ასე რომ ძალაში რჩება მეცნიერებაში მიღებული ქრონოლოგია, რომლითაც თეოდორიტეს პატრიარქობა 777—794 წლებში მოდიოდა³; აქედან, ტიმოთეს „ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბავს ადგილი უნდა ჰქონოდა 786—794 წლებში.

ხომ არ ეწინააღმდეგება რამეში ტიმოთეს „ცხოვრება“ ჰარონ-ალ-რაშიდის დროის ისტორიკოსებს? თითქოს შესაძლებელია ორი საწინააღმდეგო მოვლენის აღნიშვნა. პირველ ყოვლისა, ხალიფას ძის შესახებ, რომელიც, თანახმად თხზულებისა, თეოდორიტემ განკურნა, აქ ნათქვამია, რომ ის „მხოლოდშობილი იყო მისი (რაშიდის) და მისსა მიმართ ხოლო აქუნდა სასოებაჲ და ყნოსაჲ და სიხარული“. ნამდვილად კი ცნობილია, რომ ალ-რაშიდს ჰყავდა არა ერთი მხოლოდ შვილი, არამედ რამდენიმე, ასე, მაგალითად, აბდალაჰ (ელ-მამუნი), მოჰამედ (ელ-ემინი), ყასიმი, ალ-მუტასიმი და სხვ. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, თუ როგორ უნდა გაეიგოთ სიტყვა „მხოლოდშობილი“; თუმცა რაშიდს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ყველა ისინი ნაშობნი იყვნენ მხევლებისა და ხარქებისაგან, მხოლოდ ერთი, მოჰამედი (ელ-ემინი), დაიბადა კანონიერი ცოლის, პრინცესა ზუბეიდასაგან. ეჭვი არაა, ეს მოჰამედი, რომელიც იშვა არა მხოლოდ კანონიერის, არამედ ამასთან ერთად უალრესად საყვარელი ცოლისაგან, რაშიდს ყველა ვაჟზე მეტად უყვარდა. მართლაც, როგორც ცნობილია, ზუბეიდას გულისათვის, რომელსაც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა, რაშიდმა თავის შემკვიდრედ დანიშნა არა აბდალაჰი, რომელიც სპარსელი მხევლისაგან იშვა, არამედ მოჰამედი, თუმცა უკანასკნელი ორი თვით უძეცროსი იყო პირველზე⁴. ვინაიდან კანონიერისა და ყველაზე უფრო საყვარელი ცოლისაგან რაშიდს სხვა ვაჟი არ ჰყოლია, მას შეეძლო მოჰამედისათვის „მხოლოდშობილი“ ეწოდებინა. ასე რომ ამ თხზულებაში „დედოფლად“ უნდა ზუბეიდა ვიგულისხმოთ, „მხოლოდშობილ“ ძედ კი, რომელიც თეოდორიტემ განკურნა, მოჰამედი; უკანასკნელი ხალიფობდა თავისი მამის შემდეგ ელ-ემინის სახელით (809—813 წლ.).

მეორე თითქოსდა წინააღმდეგობა თავს იჩენს ჰარონ-ალ-რაშიდის საეკლესიო პოლიტიკაში. არაბთა ისტორიკოსების ცნობით, 191 ჰიჯრამდე (806 წლ. 17 ნოემბერი—807 წლის 5 ნოემბერი) ქრისტიანთა მდგომარეობა ხალიფატში დამაკმაყოფილებელი იყო, არაერთარ დევნა-შევიწროებას ისინი რაშიდისაგან

¹ Акад. В. Розен, Василий Болгаробойца, стр. 016, Петербург 1883 г.

² Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам, Палестинский Сборник т. XVII, вып. 2, кн. 2, стр. 140.

³ Сергей Ар. Полный месяцеслов Востока II, стр. 687, Владимир 1901 г.

⁴ დაიბადა 170 ჰიჯრის, 786—787 წ., გასულს; Müller, Der Islam I, 498—499.

არ განიცდიდნენ¹. ტიმოთეს „ცხოვრებაში“ კი საქმე ცოტა სხვანაირადაა წარმოდგენილი. ტიმოთე პატრიარქ თეოდორიტესთან საუბარში, ჯერ კიდევ სანამ უკანასკნელს ტყვედ წაიყვანენ, ასე ახასიათებს ქრისტიანთა და აგარიანთა ურთიერთობას: „ეკრძალე ძვრის-ზრახვასა და მზაკუვარებასა არა ხოლო უხილავთა მტერთასა, არამედ ხილულთასაცა, ესე იგი არს, რომელნი ესე დამკვდრებულ არიან ეზოთა შინა ჩუენთა აგარეანნი, რომელთა მიწევებისა და აღზუვაებისა მიზეზ იქმნნეს ცოდვანი ჩუენნი; უკუეთუ არა, ვერსადამცა უფლებულ იყვნეს ჩუენ ზედა და მეფენი იგი მათნი, რომელთა უპყრიეს ქალაქი ჩუენი და უცხო არიან სარწმუნოებისა ჩუენისაგან და მარადის მრისხანებით და გულისწყრომით აღიძვრიან ჩუენ ზედა“. ამ მხრივ დამახასიათებელია თხოვნა თეოდორიტესი ალ-რაშიდისადმი მისი შვილის განკურნების შემდეგ: „ბრძანენ კელმწიფებამან თქუენმან, რათა ყოველთა სამთაფროთა საბრძანებელისა თქუენისათა წიგნები ნუგეშინის-საცემლად და სალხინებლად მათ შინა მყოფთა ქრისტიანეთა წარეცეს, საცნაურ მყოფელი სიტკბოებით მიხედვისა თქუენისად. ხოლო მღუდელთა და მონაზონთა ყოვლითურთ ხარკისაგან განთავისუფლებაჲ, და ესევეთარისა სიძძიმისა სრულიად შენდობაჲ. ხოლო მესამედ ყოვლისავე კირისა და ზღვევისაგან განთავისუფლებაჲ ეკლესიათაჲ“. ამ თხოვნას ადგილი ჰქონდა გაცილებით ადრე 806 წლისა. პარონ-ალ-რაშიდი რომ ინდიფერენტულად არ ეპყრობოდა ქრისტიანებს, რომ ის მათ სდევნიდა ქრისტიანობისათვის, ამის შესახებ საკმაოდ არის ნათქვამი ერთერთს ჩემს ნარკვევში² და ეხლა ამის გამეორებას არ შეუდგები. მართალია, ტიმოთეს „ცხოვრებაში“ არის ერთი ადგილი, რომლის მიხედვით აგარიანები თითქოს ძალიან კარგად იყვნენ განწყობილნი ქრისტიანების მიმართ. ერთხელ აგარიანთა მხედრობა გაემგზავრა საბერძნეთისაკენ; ოცი დღის შემდეგ მიაღწენ საბერძნეთის საზღვრებს და დაიბანაკეს მინდორში (ალბათ ეს იყო ერთერთი ჩვეულებრივი თავდასხმა არაბებისა მოსაზღვრე ბიზანტიის ქვეყნებზე). აქ აღმოჩნდა ერთი გოდოლი, რომელზედაც ცხოვრობდა ვილაც ბერი. ღამით მხედრობას მოესმა გოდლიდან ორი ადამიანის გალობა; როდესაც გამოირკვა, რომ ერთი მათგანი იყო ტიმოთე, რაც, სიშორის გამო, შეუძლებლად ეჩვენებოდა ყველას, ამირამ უთხრა ბერს: „უკუეთუ ვცნა ქეშმარიტი, ვითარმედ იგი (ტიმოთე) იყოს არა ურწმუნო ვიქმნე სიტყუათა შენთა, არამედ იყო ჩემ თანა ვითარცა კაცი წმიდაჲ, პატიოსანი და შერაცხილი, და ყოველთა მონაზონთა პატივს ვსცემდე და კეთილსა უყოფდე, რომელთა იგი პირველ ამისსაცა, და ვიდრე აქამომდე პატივს ვსცემდი და კეთილსა უყოფდი და ხარკთა და კირთა მათთა წყალობით თანაწარვჰქდიდე და აღუსუბუქებდე“. მაგრამ ეს მაშინ იყო, ოდეს „გამოჩნდა ბრწყინვალე ესე მთიები“ ტიმოთე, ესე იგი—როდესაც მან სვეტზე დაიწყო მოღვაწეობა, ეს კი მან დაიწყო ალ-რაშიდის გამეფებამდე; რაშიდამდე კი, ხალიფა ალ-მაჰდისა

¹ К. Кекелидзе, Жизнь и подвиги Иоанна, католикоса Урхайского, Христ. Восток II, вып. 3, стр. 305.

² Ibid, стр. 305—306.

(775—785) და ალ-რასიდის (754—775) დროს, იბნ-ან-ნაკაშის ცნობით, ქრისტიანთა მდგომარეობა მართლაც ხელსაყრელი იყო მათთვის¹.

ამრიგად, ჩვენი ძეგლის ცნობები არ ეწინააღმდეგება საქმეთა ნამდვილ ვითარებას ალ-რასიდის დროს. მართალია, ისტორიას არ შემოუნახავს ზუსტად ამ ძეგლში აღწერილი ფაქტი, მაგრამ იმაში, ისტორიაში, შეიძლება მოიძებნოს ზოგი რამ ისეთი, რაც ამ ფაქტს ამართლებს და ადასტურებს.

გრიგოლ ბარ-ებრეი აბუ-ფარაჯი (XIII ს.) თავის „სირიის ქრონიკაში“ გადმოგვცემს, რომ «Georgium, jacobitarum patriarcham, Theodoretum Graecorum, ac Iacobum Nestorianorum in carcerem esse conjectos jussu califae Bagdadensis, variorum criminum accusatos, quos Cyprianus, Nisibis Nestorianorum episcopus, dimitti imperavit, quum Isae medici litteras quibus vitam califae in manu sua esse jactabat, ut munera a christianis pro suorum antistitum liberatione extorquerat, eidem califae bona fisco addidisse, ac patriarchas libertate donasse, nono postquam in eo inclusi fuerant anno»². ბუნებრივია ვიკითხოთ: ხომ არ იმყოფება ეს მოწმობა რაიმე კავშირში, თუგინდ წყაროთა ერთობის ხაზით, ჩვენი ძეგლის ცნობასთან იმის შესახებ, რომ თეოდორიტე პატრიარქს ბრალი დასდევს, რის შედეგად ის ციხეში ჩასვეს და მერე გაათავისუფლეს?

ამ ძეგლის მოთხრობაში თეოდორიტეს მიერ ხალიფას შეილის განკურნების შესახებ გვესმის გამოცხილი ისტორიულად დამოწმებული ფაქტისა, რომ ჰარონ-ალ-რასიდის დროის სამაჰმადიანო სახელმწიფოში, და მის კარზედაც, ქრისტიანებს, როგორც ექიმებს, გავლენიანი ადგილი ეკავათ. მედიცინაში კიდევ არ დაეკარგა გავლენა და მნიშვნელობა სკოლას, რომელიც დაარსებულ იქნა სასანიდების დროს ჯუნდეიშაპურში; ამ სკოლის წარმომადგენელი გაბრიელი, ბოხტ-იშუს შეილი, რამდენჯერმეა მოხსენებული ტაბარის მიერ როგორც ექიმი და დაახლოებული ჰარონ-ალ-რასიდთან³, რომელიც თითქოს მის მიერ იქნა მოწამლული ელ-ემინის რჩევით⁴. მართალია, გაბრიელი ეკუთვნოდა ნესტორიანთა ბანაკს, რომელიც მუდამ სცდილობდა დაერდილა სასახლეში მელკიტები, მაგრამ ალ-რასიდის დროს იყო პერიოდი, როდესაც ხალიფას კეთილგანწყობილება უკანასკნელთა მხარეზე გადავიდა. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ამბავი, რომელსაც გადმოგვცემს პატრიარქი ევტიქი თავის ანალებში (p. 409—410) და რომელიც მოტივით ძალიან მოგვაგონებს ჩვენი ძეგლის მოთხრობას. ალ-რასიდს მისმა ძმამ აბდულამ, ეგვიპტის მმართველმა, „აჩუქა ეგვიპტელი ქალი; ის მეტად მშვენიერი და ლამაზი იყო, ამიტომ რასიდს ძალზე შეუყვარდა. ეს ქალი ერთხელ მძიმე ავად გახდა, ექიმებმა დაუწყეს წამლობა, მაგრამ უშედეგოდ“. რასიდმა, სხვების რჩევით; აბდულას შეუთვალა—გამოეგზავნა მისთვის ეგვიპტედან ექიმები. „მაშინ აბდულამ დაუძახა ალექსანდრიის მელკიტთა პატრიარქ ბალატიანეს, ძალზე დახელოვნებულ ექიმს, გააცნო მას

¹ Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами.. II, кн. 1, стр. 743—747.

² Le-Quien, Oriens christianus II, 747.

³ Акад. В. Бартольд, Карл Великий и Харун-ар-Рашид, Христ. Вост. I, 92.

⁴ Müller, Der Islam, t. 1, S. 480, 497, Anmerk. 1.

ქალის ვინაობა და ავადმყოფობა და გაისტუმრა ალ-რაშიდთან. ბალატიანემ წაიღო თან ეგვიპტური ხმელი პური და მარილიანი თევზი¹. როდესაც ავადმყოფმა შეკამა პური და თევზი, განიკურნა. „ალ-რაშიდმა აჩუქა პატრიარქ ბალატიანეს ძალიან ბევრი ფული და გამოაქვეყნა ბრძანება, რათა მას დაბრუნებოდა ყველა ეკლესია, რომელნიც მას წაართვეს და ჩამოართვეს იაკობიტებმა. ბალატიანე დაბრუნდა ეგვიპტეში და დაიბრუნა იაკობიტთაგან მრავალი ეკლესია“¹.

ამრიგად, ცნობები ტიმოთეს ცხოვრების იმ პერიოდისა, როდესაც ის სვეტზე იმყოფებოდა, სავსებით გამართლებულია არსებითს ნაწილში ალ-რაშიდის ეპოქით. თუ ტიმოთეს მესვეტეობის დასაწყისს ჩვენ დაახლოებით 780—786 წლებში დავდებთ, შესაძლებელი გახდება დაახლოებითვე ვაჩვენოთ მისი დაბადების დრო. საქმე ისაა, რომ, როდესაც მან სვეტზე დაიწყო ცხოვრება, ის ორმოცდაათამდე წლის მაინც იქნებოდა შემდეგი ანგარიშით: ოცი წლის დაახლოებით (როდესაც ქორწინების ჰასაკში შევიდა) იერუსალიმში გაიპარა, 27 წელს აქაურ მონასტერში ცხოვრობდა, სამს წელიწადს მაინც მოანდომებდა იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნებას, თუ მხედველობაში გვექნება, რომ ამ დაბრუნებისას ის საკმაოდ ხანგრძლივად შეჩერდა ორს მონასტერში; მარონიტებისა და იმ სოფლისაში, სადაც აღიზარდა (20+27+3); მაშასადამე, დაბადებულა ტიმოთე დაახლოებით მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში, გარდაცვლილა ამ საუკუნის გასულს თუ მეცხრე საუკუნის დამდეგს².

IV. თხზულების ორიგინალი და ბერძნული მისი თარგმანი.

სხვა წყაროთა ცნობები ტიმოთეს შესახებ

თხზულების პირველი ნაწილის ბოლოში, იქ, სადაც იწყება მოთხრობა ტიმოთეს „სასწაულთა“ შესახებ, ვკითხულობთ: „რამეთუ მარტივად და ლიტონად ვპოვეთ აღწერილად ცხოვრებაჲ მისი სარკინოზულითა წერილითა და მოსწრაფე ვიქმნენით ბერძნულსა ენასა თარგმანებად მისსა“. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეს თხზულება თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე („სარკინოზულითა წერილითა“), ხოლო არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად; ეს ცნობა, საცილობელი არაა, ბერძენ მთარგმნელის მიერაა შეტანილი თხზულებაში. თუ მხედველობაში გვექნება, რომ ჰაგიოგრაფი ტიმოთეს „ახალს საკვირველთმოქმედს“ უწოდებს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ცხოვრება“ დაწერილია ტიმოთეს გარდაცვალების უმალ; არა უგვიანეს, უნდა ვიფიქროთ, მეცხრე საუკუნის პირველი მეოთხედისა. ავტორი მისი, ჩანს, კარგი მცოდნეა საეკლესიო ლიტერატურისა ზოგადად, კერძოდ კი ჰაგიოგრაფიისა: ის იჩენს, სხვათა შორის, წინადროის ორი სირიელი მესვეტის,—სვიმონ ჰალაბელის და

¹ Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами... стр. 278—279.

² ყოველ შემთხვევაში, მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულში, როდესაც ალ-რაშიდი თეოდორიტეს თავსა ჰკვეთდა, ტიმოთე „მოხუცადაა“ („მხცოვანი თმითა“) წარმოდგენილი.

სვიმონ შავმთელის, — ნაცნობობას; თავისი შრომა მას აუწყვია ისე, როგორც ამას ვხედავთ დასახელებულ მესვეტეთა „ცხოვრებაში“: პირველად გადმოგვცემს ზოგად ბიოგრაფიულ ცნობებს ტიმოთეს შესახებ, მერე კი — დაწვრილებით, ცალკე თავებად, მის „სასწაულებს“. საფუძვლიანად იცნობს ის ბიბლიასაც, საიდანაც მას შემოაქვს სახეები, სურათები, მეტაფორები, პარალელები და მოხერხებული ციტატები თავისი აზრისა და შეხედულების დასადასტურებლად. ეს კიდევ ცოტაა, ტიმოთეს ცხოვრების ძირითადი მომენტები მას აუშენებია ბიბლიურ ეპიზოდთა საფუძველზე; ასე, მაგალითად, ტიმოთეს მშობლებს „ქელოვნებად აქუნდა საქმე ქუეყანისაჲ მსგავსად აღამ პირველქმნულისა შემდგომად ურჩებისა“. ტიმოთეს გაპარვას უცხოეთში, აღზრდას და საშობლოში დაბრუნებას თავისი ერის ნუგეშისა ცემლად და დასახმარებლად ავტორი აღარებს მოსეს ცხოვრების ამბებს. ტიმოთეს დის მოთქმა-გოდებაში მისი დაკარგვის გამო გვესმის იაკობის ტირილი მისი შვილის იოსების დაკარგვის გამო. როდესაც ტიმოთე გამოუცხადებს თავის თავს ძმებსა და დას, გვაგონდება სცენა იოსებსა და მის ძმებს შორის ეგვიპტეში. თავისი ცხოვრების ზოგიერთი ხაზებით ტიმოთე უსწორდება, სჯობნის კიდევაც, იოსებს, დავითს, სამსონს, იობს და დანიელს. ანაზღეული გადასვლა მისი ანტიოქიიდან სინას მთაზე და უკანვე მობრუნება (10 სასწ.) შედარებულია ამბაკო წინასწარმეტყველის სასწაულებრივ გადასვლასთან პალესტინიდან ბაბილონში დანიელთან, რომელიც ორმოში იმყოფებოდა ლომებთან ერთად და სხვ. ჰაგიოგრაფი იცნობს აგრეთვე ფილოსოფიას, ძალნიტის თვისებას, წარმოდგენა აქვს ზღვის სირინოზთა შესახებ, — ერთი სიტყვით, უცხო არაა მისთვის, თანახმად ჰაგიოგრაფიაში მიღებული ტერმინისა, „გარეშე“, ესე იგი — ამქვეყნიური სიბრძნე და ცოდნა.

ყველაფერი ეს არ ურიგდება ამ თხზულების ბერძნულ ენაზე მთარგმნელის შემომოყვანილ სიტყვებს, ვითომც თხზულება თავდაპირველად „მარტივად და ლიტონად“ იყო დაწერილი. იბადება საკითხი: ხომ არ გადაამეტაფრასა ბერძენმა მთარგმნელმა „მარტივად და ლიტონად“ დაწერილი არაბული დედანი? მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ბერძენი მთარგმნელი ასე ახასიათებს თავის შრომას: „მოსწრაფე ვიქმნენით ბერძულსა ენასა თარგმანებად მისსა არა მძლავრებითა და შემკობითა სიტყუათაჲთა, რომელთა მიერ არცა ერთი იპოების კეშმარიტებაჲ, არამედ ლიტონად, ვითარცა უფალმან მომცა სიტყუაჲ, რომელი იგი არს ყოველთა კეთილთა მიზეზი. რამეთუ ჩუენ არცა თუ გუაქუნდა ძალი სიტყუსაჲ შემსგავსებული, დალაკათუ ფრიად გუენება, რომელნი ესე უსწავლელ ვართ და უმეცარ. ხოლო განგრძობილთა და განფენილთა თხრობათა შემოკლებულად აღწერაჲ ვირჩიეთ, რათა არა საწყინო იქნეს მსმენელთა“. როგორც ვხედავთ, ამგვარი დახასიათება უფრო ნაკლებად ურიგდება მეტაფრასტული ლიტერატურის ტრადიციებს და მეტაფრასტების მუშაობას. ამიტომ უფრო ახლო ვიქნებით სიმართლესთან, თუ სიტყვებს: „მარტივად და ლიტონად“, — შევხედავთ, როგორც ჩვეულებრივს, *ad maiorem Vitae gloriam* წამოსროლილ რეპლიკას, და მთელს თხზულებას, ყველა მისი ღირსება-ნაკლოვანებით, ვიცნობთ არაბ ჰაგიოგრაფის ნაწარმოებად.

ბერძენი მთარგმნელის ზემომოყვანილ დახასიათებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თარგმანის terminus ad quem დასადგენად. იკონოკლასტურ მოძრაობათა დროს გაყინული ლიტერატურული შემოქმედება ბიზანტიისა მეცხრე საუკუნის ნახევრიდან განსაკუთრებული ძალღონით იჩენს თავს; ხატთაყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ იწყება ლიტერატურის აყვავებაც. ეპოქის სულმა გამოიწვია ასპარეზზე რიტორთა მთელი რიგი, რომელნიც ფორმასა და გარეგნობას პირველს ადგილზე აყენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში. ეხლა იწერება ისეთი „ცხოვრებანი“, რომლებშიაც სამი-ოთხი ფაქტიური მასალა, — დევიზით: multa, sed nihil, — რიტორიკული ენაწყლიანობის განუქვრეტელ ბურუსშია გახვეული¹. ბერძენ-მთარგმნელის სიტყვებში, რომ მან თავისი თარგმანი შეასრულა „არა მძლავრებითა და შემკობითა სიტყუათაჲთა, რომელთა მიერ არცა ერთი იპოების ქეშმარიტებაჲ, არამედ ლიტონად“, რომ მან აღირჩია „განგრძობილთა და განფენილთა თხრობათა შემოკლებულად აღწერაჲ, რათა არა საწყინო იქმნეს მსმენელთა“, — ჩვენ გვესმის პროტესტი იმდროინდელ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გაბატონებული მიმართულების წინააღმდეგ, აქ ჩვენ ვხედავთ თავისებურ სატირას ამ მიმართულებაზე. ამ პროტესტის გათვალისწინებით ბერძნული თარგმანი ტიმოთეს „ცხოვრებისა“ უნდა გაჩენილიყო არა უადრეს მეცხრე საუკუნის ნახევრისა, უფრო სწორად — მის გასულს, როდესაც ზემოაღნიშნული რიტორიკული მიმართულება თავის კულმინაციურ პუნქტს აღწევს. მაგრამ ეს იყო პროტესტი წინააღმდეგ ლიტერატურული ტონისა, რომელიც გაბატონებული იყო სასახლეშიც, საზოგადოებრივ ავდიტორიებშიც და ეკლესიებშიც; ეს იყო დაცინვა-გაქირდვა თანამედროვეობისა, მით უფრო შეურაცხყოფელი, რომ დამცინველ-გამქირდველი იყო კაცი, თანახმად მისი საკუთარი განცხადებისა, „უსწავლელი და უმეცარი“, რომელსაც „არცა თუ აქუნდა ძალი სიტყუისა შემსგავსებული, დაღაცათუ ფრიად ენება“. იქნება ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ბერძნულ ენაზე არ შენახულა არამც თუ თხზულება, — მთლიანად თუ ექსცერპტულად, — არამედ უბრალო ხსენებაც კი ტიმოთესი. ასეთი პროტესტით და გაქირდვა-დაცინვით შეურაცხყოფილმა თანამედროვეობამ ხომ არ შეახო მას ხელი და არ მოსპო ის უმაღვე, როგორც კი გაჩნდა ის ბერძნულ ენაზე? მეცხრე-მეათე საუკუნეში ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო: საკმარისი იყო ესა თუ ის თხზულება არ მოსწონებოდა რომელიმე პარტიას თუ დიდ პერსონას, არას ვამბობთ მთელი ეპოქის შესახებ, რომ ის ულმობელი აუტოდაფეს-მსხვერპლი გამხდარიყო. მოვიგონოთ, მაგალითისათვის, რა ბედს უშხადებდა იმპერატორი ბასილი II სვიმეონ მეტაფრასტის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს², გინა თუ რა ბედი ეწია პატრიარქი მეთოდის „ცხოვრებას“, რომელიც დაწე-

¹ X. M. Лопарев, Византийские жития святых VIII—IX веков; Житие Евдокима, Известия Русского Археол. Института в Константинополе, т. XIII, стр. 161—162, 184.

² К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам (Труды Киевской дух. Академии, февраль 1910 г.).

რილი იყო სიცილიელ მთავარებისკომპოზის გრიგოლ ასვესტის მიერ¹. როგორც არ უნდა იყოს, ბერძნულ ენაზე ტიმოთეს შესახებ ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ ჩანს; ერთადერთი მოწმობა მის შესახებ, რომელიც მეცნიერების განკარგულებაშია, არაბული წყაროებიდან მომდინარეობს.

1874 წელს ცნობილმა რუსმა მეცნიერმა პ. უსპენსკიმ გამოაქვეყნა ანტიოქიის პატრიარქთა სია (Список повременных патриархов Антиохийских), შედგენილი 1767 წლის მახლობლად მღვდლის მიხეილ ბრეკის მიერ². უკანასკნელი ასე იწყებს პატრიარქების სიას: „უწყებულ იყავთ, რომ მე, მდებალმა მღვდელმა მიხეილ ბრეკმა, რომელსაც მსურდა მქონოდა ექვმიუტანელი ისტორია პატრიარქების, მღვდელმთავრების და მეფეების და რომელიც ვიწერდი ხოლმე საეკლესიო მოთხოვნებს, ვიპოვე ერთი წიგნი ანტიოქიის პატრიარქის მაკარისა, რომელშიც ვიხილე სახელები და საქმენი დიდის ღვთის ქალაქის, ანტიოქიის, უნეტარესი პატრიარქებისა და გადმოვწერე ისინი აქ, რათა ყოველმან მკითხველმან მომიხსენოს მე ღვთის წინაშე საზღაურის იმედით“. პატრიარქის მაკარის სია, გადმოღებული მიხეილის მიერ, მოყვანილია ანტიოქიის მე-110 პატრიარქ იოანემდე, ან მე-11 საუკუნის ბოლომდე³. მაშასადამე, მაკარი პატრიარქს (1648—1672) ეკუთვნის აქ, ამ სიაში, მოთავსებული ცნობები თეოდორიტეს შესახებ, რომელსაც ამ სიით მე-85 ადგილი უკავია ანტიოქიის პატრიარქთა შორის, სახელდობრ: „რაშიდის ბაღდადში ხალიფობის მერვე წელს ანტიოქიის პატრიარქად გახდა თეოდორიტე, დღეთა შინა ღირსისა ტიმოთესა, რომელიც კესარიის თემის კამახოსტიდან (არაბულად Kiahista) იყო. ტიმოთე მოციქულების პირით უკრძალავდა ამ პატრიარქს მისვლა-მოსვლას ბრწყინვალე ეტლით, რომელშიც ექვსი ცხენი იყო ხოლმე შებმული; თუ არ დაიშლი ასეთ მედიდურებას, ემუქრებოდა ის მას, ხალიფა რაშიდი განგირისხდება, დიდ პარასკევს დაგიქერს და დაგსჯისო. პატრიარქმა არ ყურადიღო ღირსი კაცის დარიგება, რისთვისაც დიდ პარასკევს რაშიდმა მართლაც დაიჭირა ის. ბაღდადისაკენ წაყვანილმა პატრიარქმა გზაზე შეუხვია ღირს ტიმოთესთან და ლოცვა-კურთხევა სთხოვა მას. როდესაც ის მიიყვანეს ქალაქში და წარუდგინეს რაშიდს, ხალიფამ ბრძანა მისი მოკვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოცხადდა იქ ღირსი ტიმოთე, რომელმაც სასწაულებრივ გაათავისუფლა პატრიარქი და, მონანიებული ქედმაღლობაში, დააბრუნა თავის კათედრაზე. თეოდორე პატრიარქად იყო 17 წელიწადს და გარდაიცვალა. მისი ამბავი მოთავსებულია ღირსის ტიმოთეს „ცხოვრებაში“. როგორც ვხედავთ, პატრიარქ მაკარის კიდევ ჰქონია ხელთ ტიმოთეს „ცხოვრება“, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ეს ცნობა მან მოიპოვა არა ამ „ცხოვრები-

¹ X. Лопарев, Византийские жития святых VIII—IX в. Византийский Временник, т. XVIII, отд. 1, стр. 6—7.

² Труды Киевской духовной Академии 1874 г. Июнь.

³ მაკარის სია ეთანხმება ევტიხისას და, მგონია, იმაზე უნდა იყოს დამყარებული; განსხვავება მათ შორის ასეთია: ევტიქი თეოფანესათვის (იგივე თომა) უჩვენებს 20 წლის პატრიარქობას, მაკარი კი (მისი ცხრილით—მე-76 პატრ.) 18-ს; ევტიქი არ იცნობს მაკარის 77, 78, 79 პატრიარქებს, სახელდობრ: სტეფანე IV, გიორგის და თეოფილაქტე II.

⁴ ერთერთს ქრისტიანული შინაარსის არაბულს ხელნაწერ კრებულში, რომელიც 1910 წელს მოუპოვებია რუსეთის არქეოლოგიურ ინსტიტუტს კონსტანტინოპოლში, მოთავსებული ყოფილა, სხვათა შორის, „სასწაულნი ტიმოთესნი“ (Византийский Временник, т. XVIII,

დან“ უშუალოდ, არამედ იმ პირთაგან, რომელთაც ის თავის წყაროდა სთვლის, მაგალითად, იაქია ანტიოქელის შვილის საადისაგან, ანდა ნიკონ შავმთელისაგან. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ცნობა, პატრიარქ მაკარის თუ სხვა ვინმეს, ერთი ცხადია, ის ამოღებულია ტიმოთეს „ცხოვრებიდან“ შემდეგი უმნიშვნელო ვარიაციებით: ტიმოთეს საშობლოდ აქ დასახელებულია არა ანტიოქიის ოლქი, არამედ კესარიის; პატრიარქ თეოდორიტეს ტიმოთე აფრთხილებს არა უშუალოდ, არამედ მოციქულების პირით; მას რაშიდის ჯარისკაცები შეიპყრობენ არა დიდ ხუთშაბათს, არამედ პარასკევს; დასასრულ, მაკარი არას ამბობს პირდაპირ, რომ თეოდორიტემ განკურნა ხალიფას შვილი, თუმცა ტიმოთეს იქ „სასწაულთმოქმედება“ შეიძლება ამ მომენტსაც გულისხმობდეს.

სხვა ცნობები ტიმოთეს შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება; ლიტურგიკულ წიგნებშიც კი არაფერია მის შესახებ, არც მთლიანი „განგება“, არც უბრალო „ხსენება“ მისი, მიუხედავად იმისა, რომ „ცხოვრება“ განკუთვნილი იყო „სვინაქსარულ საკითხავად“ ღვთისმსახურებისას. მართალია, „ცხოვრების“ ქართულ ნუსხებში შემონახულია ორი თარიღი მისი „ხსენებისა“: 28 იანვარი და 21 თებერვალი¹, მაგრამ ეს გაორება თავისთავად უჩვენებს, რომ თავდაპირველად აღნიშნული „ხსენება“ არ ემთხვეოდა არც ერთს ამ რიცხვს. დადება ამ ხსენებისა ნაჩვენებ რიცხვებში მომხდარა შემდეგ, როდესაც ეს „ხსენება“ დაეიწყებას მიეცა; ამ შემთხვევაში ზოგმა ის 21 თებერვალს მიაკუთვნა, რადგანაც ამ დღეს დადებულია „ხსენება“ მეორე ტიმოთესი, სიმვოლელისა, მცირე აზიის ოლიმპზე (გარდაიცვალა IX საუკუნის დამდეგს), სხვებმა—28 იანვარს, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ერთი „სასწაული“ ჩვენი ტიმოთესი შესრულებულია იანვარში (8 სასწ.), მეორედ იმიტომ, რომ 28 იანვარს დადებულია „ხსენება“ სირიის სხვა მოღვაწეებისაც, როგორც, მაგალითად, ეფრემ ასურის და პალადი მუდაბნოელისა სირიის ანტიოქიის მახლობლად (IV საუკ.).

V. ცნობები თხზულების ძარბანისა და ნუსხების შესახებ

სიტყვები—„რამეთუ მარტივად და ლიტონად ეპოვეთ აღწერილად ცხოვრებაჲ მისი სარკინოზულითა წერილითა და მოსწრაფე ვიქმნენით ბერძულსა ენასა თარგმანებად მისსა“,—ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ ამ თხზულების ქართულ მთარგმნელს ხელთა ჰქონდა არა არაბული დედანი, რომელშიაც, იგულისხმება, ასეთს სიტყვებს ადგილი არ ექნებოდა, არამედ ბერძნული მისი თარგმანი. როდის და ვის მიერაა ეს თხზულება ქართულად თარგმნილი?

ოტა. 3, სტ. 118). საინტერესოა ვიცოდეთ, ხომ არ გვაქვს ამ შემთხვევაში ჩვენ არაბული დედანი ტიმოთეს თუ მთელი „ცხოვრების“ არა, მისი მეორე ნაწილისა ძანც, რომელსაც ქართულ თარგმანშიც აქვს საგანგებო, სინგურით წარწერილი, სათაური: „სასწაულნი წმიდისა ტიმოთესნი“? თუმცა, რასაკვირველია, შეიძლება აქ სხვა რომელიმე ტიმოთე იგულისხმებოდეს.

¹ სამწუხაროდ, ადრინდელი ნუსხები „ცხოვრებისა“ არ აღნიშნავენ მისი ხსენების დღეს; ერთს, ყველაზე ძველს ნუსხაში, თვე და რიცხვი ამოფხეკილია, მეორეში „ცხოვრების“ დასაწყისთან ერთად რიცხვის ჩვენებაც დაკარგულია.

ექვმიუტანელი და უცილობელი პასუხი ამ საკითხზე ჩვენ არ მოგვეპოვება. დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერები მისი XII საუკუნეზე უძველესი არცერთი არაა და არც რაიმე ცნობას შეიცავს მთარგმნელის შესახებ. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ თარგმანის ლექსიკურსა და სტილისტიკურ მხარეს, ვერავითარ შემთხვევაში იმას მეთავე საუკუნეს ვერ გადმოვაცილებთ. მისთვის უცხოა ის ნორმები, რომელიც ახასიათებს მეთერთმეტე საუკუნეში დაწყებულს საგანმანათლებლო მოძრაობას ქართულ მწერლობაში, ის უფრო მეთავე საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებს ენათესავება.

ამ თხზულებას საქართველოში საკმაოდ დიდი პოპულარობა ჰქონია მოპოვებული, რასაც დღესდღეობით ცნობილი და არსებული ხელნაწერებიც ადასტურებს. ესენია:

I. ხელნაწერი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკისა № 3, ეტრატზე, XII საუკუნისა; ის აღწერილია პროფ. ვ. ბენეშევიჩის მიერ¹, რომელიც მას, თანახმად აკად. ნ. მარისა, მეთავე საუკუნეს აკუთვნებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ, მისივე კვლევა-ძიებით, ეს ხელნაწერი და ხელნაწერი იმავე ბიბლიოთეკისა № 2, რომლიდან ნ. მარმა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ გამოსცა, ერთისადა-იმავე „თვენის“ ნაწილი და ერთიდაიმავე ხელით გადაწერილი ყოფილან; ხელნაწერი № 2-ის შესახებ კი ნ. მარი ამბობს, რომ ის „едва ли древнее XII века“². შეუძლებელია, ერთი ნაწილი ხელნაწერისა ერთსადაიმავე პირს გადაეწერა X საუკუნეში, მეორე კი მეთორმეტეში. ჩვენს შეკითხვაზე ამის შესახებ აკად. ნ. მარმა თავაზიანად შეგვატყობინა (7.X.1912) შემდეგი: „если, действительно, правда, что №№ 2 и 3 части одной и той же рукописи, то я предпочел бы думать, что я ошибся, называя [для № 3] «десятым» век, а не «едва ли древнее XII века». ტიმოთეს „ცხოვრება“, რომელსაც ამ ხელნაწერში 21a—93b ფურცლები უკავია, იწყება ისე, როგორც ჩვენს გამოცემაში, ხოლო ბოლოვდება ის სიტყვით „გარდაიხდების“, თუ ეს მართლად ბოლოა მისი.

II. ხელნაწერი ყოფილი „საეკლესიო მუზეუმისა“ № 682, in folio, გადაწერილი ნუსხა ხუცურით XIII საუკუნეში ბომბიციონზე, ორ სვეტად, თვითეულში 38 სტრიქონი³; ის დეფექტურია: აკლია თავი და ბოლო, აგრეთვე შუაში საკმაოდ ბევრი ფურცელი. მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ ხელნაწერის ფურცლებისა მოხვედრილა სხვადასხვა ხელნაწერებიდან გადარჩენილ ფურცელთა დასტაში, რომელსაც მუზეუმის კატალოგში უზის № 749⁴. ტიმოთეს „ცხოვრებიდან“ აქ მოხვედრილა ორი ფურცელი (163 და 172), რომელიც ჩვენ გადმოვიტანეთ თავის ადგილას № 682-ში. ხელნაწერში, რომელიც ჩვენ თავის დროს ხელახლა გადავწომრეთ, დღეს 252 ფურცელია, მისი შინაარსი ასეთია:

¹ Христианский Восток, т. I, вып. 1, стр. 65—68.

² Георгий Мерчул, Жизнь Григория Хандатийского, стр. VII.

³ Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифл. Церк. Музея, II, 154—155.

⁴ ამის აღწერილობაში თ. ეორდანიამ ამბობს: Учение св. Тимофея Чудотворца (Описание II, 209); ალბათ ხ⁴წლნი (=სასწაულნი) თ. ეორდანიამ წაიკითხა როგორც „სწაულანი“.

1. ლავსაიკონი (Λαυσιακόν) პალადი ელენეპოლელისა (ფ. 1 — 61) მეურსის მოკლე რედაქციისა¹.

2. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კასიანე ჰრომისაჲ. თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთა (ფ. 61—70. De institutis coeniborum, Migne, PL. XLIX, 53 sqq).

3. მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა კასიანე ჰრომისაჲ მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტთასა (ფ. 70—79. Collationes, Migne—PL. XLIX, 477 sqq).

4. ნეტარისა თეოდორიტე ეპისკოპოსისა კჳრის ქალაქისაჲ. ღმრთის-მოყუარებითი თხრობაჲ გინა თუ მოლუაწეთა მოქალაქობაჲ (ფ. 79—155)².

5. მისივე ნეტარისა თეოდორიტეს სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს (ფ. 155—162).

6. ცხორებაჲ ღირსისა ტიმოთე საკჳრველთ-მოქმედისაჲ (ფ. 163—209).

7. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორესი, რომელი პირველად მოლუაწებითა განბრწყინდა დიდსა შინა ლავრასა წმიდისა საბაჲსსა და მერმე მთავარეპისკოპოზ იქმნა ქალაქსა ედესელთასა: აღწერილჳ ბასილის მიერ დის-წულისა მისისა და ემესელ ეპისკოპოზისა (ფ. 209—245)³.

8. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა მამისა ჩუენისა ათინოგენი მღვდელთმონაწამისაჲ (ფ. 245—252)⁴.

III. ხელნაწერი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმისა № 382, მეცამეტე საუკუნისა, in folio, ეტრატზე; გადაწერილია ორ სვეტად და შეიცავს წლის სხვადასხვა დღის წმიდათა „ცხოვრებას“. ბოლოში არის ტიმოთეს „ცხოვრებაც“, მხოლოდ მე-18 სასწაულიდან, სხვა ყველაფერი დაკარგულია.

¹ К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества стр. 9; прим. 1 (Труды Киевской д. Академии, февраль 1911 г.).

² ეს არის ე. წ. Θεοφιλης ἱεροπία თეოდორიტე კვირელისა, რომელსაც ქართულ მწერლობაში ეწოდება „ფილოთეონ ისტორია“; ამ სახელწოდების შესახებ აქ ვკითხულობთ: „ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ. რომელ არს ღმრთის-მოყუარებითი თხრობაჲ. რამეთუ ვითარ იგი კლემაქსსა და დიოლოლონსა იგივე ბერძელი სახელი უწოდებდა ქართულადცა. ეგრეთვე ამისათჳს უსაკუთრეს არს წოდებად ფილოთეონ ისტორიაჲ. რომელი ესე თვთ აღმწერელისა ამისისა თეოდორიტესა-გან სახელდებულ არს ამისდა... ამის მიერ აღწერილისა ამის ფილოთეონ ისტორიაჲსა მოსურნე იყო წმიდაჲ და ღმერთშემოსილი ბერი ჩუენი ანტონი. და მისითა ბრძანებითა და ლოცვითა ითარგმნა ესე“. (ფ. 79—80).

³ Помяловский, Житие Феодора, архиепископа Эдесского, Петерб. 1892 г.

⁴ სტატიები 7 და 8 თ. ჯორდანიას კატალოგში, სტამბის დაუდევრობის თუ კორექტორის უყურადღებობის გამო. შეადგენენ ხელნაწერის № 684 დაბოლოებას (Описание II, стр. 159—160 E, Ж, З, И). ასო 3-ს ქვეშ ჯორდანიის აღნიშნავს, როგორც განსაკუთრებულ სტატიას, „мученическую смерть от паря персов Иоанна; нет начальных и последних листов; жизнеописание обстоятельное, увлекательное и неизвестное церковной истории“ (II, 160). ნამდვილად აქ ჩვენ საქმე გვაქვს თეოდორე ედესელის „ცხოვრებიდან“ ამოღებულ ცალკეულ ფურცლებთან, რომლებზედაც მოთხრობილია გაქრისტიანება ბაბილონის ხალიფას მავის, ადრამელექის მემკვიდრისა, რომელსაც ნათლისღებაში ეწოდა იოანე. მაშასადამე, არაფერი ახალი და უცნობი ჰაგიოგრაფიული თხზულება აქ არ მოგვეპოვება.

IV. ხელნაწერი გელათის მონასტრისა № 1 (ჩვენი, ჯერ გამოუქვეყნებელი ალწერილობით), 43×28, ტექსტი 29×16, ორ სვეტად, თვითეულზე 33 სტრიქონი, ქალაღზე, 583 ფურცელი; გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოზის ევდემონ I (1543—1578) დროს. შეიცავს თებერვლისა და აგვისტოს თვის წმიდათა ცხოვრებას; 96a—165b ფურცლებზე მოთავსებულია ტიმოთეს „ცხოვრებაც“.

V. ხელნაწერი ყოფილი „საეკლესიო მუზეუმისა“ № 105, გადაწერილია „უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“ 1697 წელს¹. შეიცავს: 1) კლიმაქსს იოანე სინელისას (ფ. 1—204), 2) ტიმოთეს „ცხოვრებას“ (ფ. 205—287) და 3) სვიმეონ შავმთელის მესვეტის „ცხოვრებას“ (ფ. 287—413)².

VI. ხელნაწერი ე. ს. თაყაიშვილისა, მხედრული ხელით გადაწერილი XVIII საუკუნის ნახევარში³. ამ ხელნაწერში მეორე ადგილას ვკითხულობთ: „თთუშსა იანვარსა კჳ ცხოვრება წმიდისა და საკვრველთა მოქმედისა ტიმოთესი“. აქ ნამდვილად „ცხოვრება“ კი არაა, არამედ მოკლე ექსცერპტები მისგან (სულ 2¹/₂ ფურცელზე in 8), შენიშვნების სახით გადამწერისათვის. ის ასე იწყება: „ტიმოთე ანტიოქელი. პირველად თავად ქრისტიანეთა უწოდა მკვდრთა ანტიოქიისათა: იმისი შემსხმელი არსთა ქმნულებიდამ იწყებს, რომელნიმე ამისთჳს იწყებენ ქებასა“. შემდეგ მოჰყვება სათაურები 1, 4, 8, 9, 11, 17, 19, 20, 22, 24, 25, 16, 15 სასწაულებისა. აქ ერთი შენიშვნაა: „უდაბნოში რომ ვიყავი წელსა ქრისტესით ჩლოვ, აგვისტოს, ერთად შეკრებილი წიგნებიდან ამოვწერე“. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ხელნაწერის № 105 ექსცერპტებთან, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ეს ხელნაწერი გადაწერილია დავით გარეჯის უდაბნოში.

აი. ყველა დღესდღეობით ცნობილი ნუსხა ტიმოთეს „ცხოვრებისა“. ამათგან ჩვენი გამოცემის საფუძვლად დადებულია საეკლ. მუზ. №№ 682=A და 105=B ნუსხები; გელათის ნუსხა (C) ჩვენ მიერ ნაწილობრივად გამოყენებული, შედარებულია საკუთარი სახელები და ზოგიერთი ცალკეული ადგილები. სხვა ნუსხები მხედველობაში არაა მიღებული, იერუსალიმის იმიტომ, რომ ჩვენთვის ხელმიუწვდომელი იყო, წერა-კითხვის ნუსხა-დეფექტობის გამო, თაყაიშვილის კი—ზემონაჩვენები მიზეზის გამო.

ის სიტყვები, წინადადებანი და აბზაცები, რომელნიც []-ში არიან მოქცეულნი, ნუსხა A-ს აკლია ან დეფექტობის [A-ში დაკარგულია 41, 1—43, 2, 53, 25—58, 17, 63, 10—65, 27, 73, 20—75, 9], ანდა გადმომწერის დაუდევრობის გამო, ისინი შევსებულია B ნუსხიდან.

¹ Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тифлис. Церковного Музея I, 121—122.

² თ. ჟორდანიას ალწერილობით შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ მთელი „ეს წიგნი (მაშასადამე, ტიმოთეს „ცხოვრებაც“) გადათარგმნილია წმ. ექვთიმეს მიერ ბრძანებითა შამისა მისისა იოანე ივერიისა“ (I, 122); მაგრამ ეს შენიშვნა გადამწერისა ეკუთვნის არა „მთელ წიგნს“, არამედ მხოლოდ იოანე სინელის კლიმაქსს.

³ მისი აღწერა იხ. „ძველ საქართველოში“, ტ. II, განყ. 3, გვ. 35—46.

VI. ტექსტის დახასიათება

ვინაიდან ძველი, რომელიც ეკუთვნის უძველესი ქართული მწერლობის უკანასკნელ პერიოდს, შემონახულია შედარებით მოგვიანო დროის ნუსხებით, ჩვენ მოვერიდეთ ტექსტის არქაიზაციას ძველი, კლასიკური ნორმების მიხედვით. მიუხედავად ამისა, გამოცემაში დაცულია ის მცირერიცხოვანი არქაული გარდ-მონაშთები, რომელთაც ვხვდებით ნუსხებში, სახელდობრ:

I. მორფოლოგიური: ა) სახელობითს ბრუნვაში B იძლევა კლასიკურ წაკითხვას „მეუფე“ (87, 16; 99, 36; 112, 33), ნაწილაკი დე A-ში C-თია მოცემული—„უკუნისამდ“ (142, 7, 24; ბ) ნამყო უსრულში ე ი-ს მაგიერ: შემოვიდოდეთ, უწყოდეთ, ვიქცეოდე (113, 31), ვევედრებოდე (113, 8, 33), მიმოვიდოდეთ, ვიქცეოდეთ (97, 28-29), მოველოდე; გ) ნამყო უსრული მოცემულია უბოლოკიდურხმოვნოდ: ვხედევდ (110, 1), მასწავებდ და განმამტკიცებდ და განაქარებდ მწუხარებათა ჩემთა (110, 2-3), ვგალობდ (135, 16); დ) შემასმენელში, რომელსაც დამატება მხოლოობითს რიცხვში აქვს, ში გვ-ს მაგიერ: შემიწყალენ ჩუნ (129, 21).

II. სინტაქსური: მასდარის შემდეგ არსებითი სახელის დასმა ა) სახელობითს ბრუნვაში: წარკუეთად თავი (104, 26), ბ) მიცემითში: ძლევად ძლიერებასა (104, 30).

III. ფონეტიკური: ოვ უ-ს მაგიერ; ეს არქაიზმი დაცულია მხოლოდ სიტყვაში „ოვფალი“ და მისგან ნაწარმოებებში.

არასწორი ფორმები, რომელიც გამოცემაში უარყოფილია:

I. ფონეტიკური: ა) შესუსტების გამო ი-ს ჰ-დ ქცევა სიტყვაში „საიდუმლო“ (A-ში სისტემატურად), ბ) ხშირი შემთხვევა სიტყვის ბოლოში ა-ს ჰ-თი შეცვლისა, გ) სისტემატური შეცვლა ე-სი C-თი უ-სთან ერთად, დ) კ ბ-ს მაგიერ სიტყვაში „გულისხმა“ და მისგან ნაწარმოებნი, ე) B-ში ს ჯ, ჩ-ს წინ სიტყვებში: სამსჯავროდსა (76, 37), უსჯულოებისა (127, 26), მაგრამ ყოველთვის „შჯულიერი“, „გამოსჩნდე“ (134, 38), ვ) ორსავე ნუსხაში ყოველთვის იძლმი „იერუსალში“-ს ნაცვლად.

II. მორფოლოგიური: ა) ნათესაობითში ჰ-ს გაქრობა: ზეგარდამოსა (51, 4), ბ) მიცემითში ჰ: მტერისადათა (102, 5), წინაშე ყოველთადასა (108, 22), გ) მოქმედებითში გაქრობა ჰ-სა: შენთათა (96, 3), დ) შემასმენელში ჰ-ს გაჩენა, მზად იყო (102, 22), ე) A სისტემატურად სწერს: „თაყუანის სცა“ „თაყუანი სცა“-ს მაგიერ.

ზოგიერთი დამახასიათებელი დიალექტიზმი:

I. ფონეტიკური: 1) ხმოვანთა გამყოფი ბგერის შესახებ ნუსხებს გარკვეული წესი არ გააჩნია, ხან იცავენ მას, ხან არა, წარმოიდგინეთ—ერთსადაიმავე სიტყვაშიც კი; 2) ესევე უნდა ვთქვათ შემდეგი ბგერების შესახებ: ა) ი და ე: სახიდ-სახედ, აგარიანთა-აგარეანთა; ბ) უ და ო: მყუარ-მყუეარ-მყოარ-მყოვარ. 3) A ნუსხა ფ-ს წინაშე უპირატესობას აძლევს ყოველთვის ბ-ს, მაგალითად: განცუფრდა-განცუბრდა; მ-ს წინაშე ნ-ს: ჰანბაეი (98,4; 121,4), 4) სიტყვა „საწუთოჲ“ და მისგან წარმოებულნი A-ში იწერება რ-თი: „საწუთროჲ“, აგრეთვე „ურთიერთარს“.

II. მორფოლოგიური: მღე B-ში ყოველთვის უერთდება მიმართებითი ბრუნვის სრულ ფორმას: ჰევადმღე, რვადმღე, A-ში კი არასრულს.

ლექსიკა თხზულებისა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ენა თხზულებისა მსუბუქი და თავისუფალია; მაგრამ, როგორც კლასიკური ხანის ძეგლი, ის შეიცავს მრავალს ისეთ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივი მკითხველისათვის ყოველთვის გასაგები არაა. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ გამოცემას დაურთოთ ლექსიკონი ასეთი სიტყვებისა (იხ. ტექსტის ბოლოს).